ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარება საქართველოსთვის 46 მილიონ ევრომდე

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ევროკავშირს

როგორც დონორს

და

საქართველოს

როგორც ბენეფიციარს

და

საქართველოს ეროვნულ ბანკს
როგორც ბენეფიციარის ფინანსურ აგენტს

შორის

[ ] 2014

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ევროკავშირს და საქართველოს შორის

1. 2013 წლის 12 აგვისტოს ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის (შემდგომში „ბენეფიციარი“) გამოეყო მაკრო-ფინანსური დახმარება (შემდგომში „დახმარება“) 46 მილიონ ევრომდე ნახევარი სესხის და ნახევარი გრანტის სახით (ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება N2009/889/EU საქართველოსთვის მაკრო-ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე[1]). დახმარება გამოყოფილი იქნება ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „ურთიერთგაგების მემორანდუმი“) ძალაში შესვლის დღიდან ორნახევარი წლით.

   ამ დახმარების მიზანია შეამსუბუქოს საქართველოს საგადამხდელო ბალანსისა და საბიუჯეტო საჭიროებები, გააძლიეროს ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვის პოზიცია და მხარი დაუჭიროს რეფორმებს ეკონომიკური მმართველობის გაძლიერების კუთხით, მდგრადი ზრდისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფით, ევროკავშირთან (შემდგომში „ევროკავშირი“) მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის გზით. ევროკავშირის აღნიშნული დახმარება წარმოადგენს იმ რესურსების დამატებას, რომელიც გამოყოფილია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ორმხრივი დონორების მიერ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეფორმების პროგრამების მხარდასაჭერად.

   აღნიშნული დახმარების ფარგლებში მხარდაჭერილი რეფორმების პროგრამა აღიარებს ბენეფიციარის მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ეროვნული ბანკი“) პოლიტიკის თანხვედრის მნიშვნელობას, ამავდროულად, კვლავ ადასტურებს ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის ორგანულ კანონთან და საქართველოს კონსტიტუციასტან.

2. დახმარება ჩამოირიცხება ორ თანაბარ ნაწილად თითო 23 მილიონი ევროს ოდენობით.

3. დახმარების პირველი ნაწილი ჩამოირიცხება ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერისა და ძალაში შესვლის შემდეგ და მას მერე, რაც შესაბამისი სესხის ხელშეკრულებით და მაკრო-ფინანსური დახმარების საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჭირო მოთხოვნები იქნება შესრულებული. დახმარების მეორე ნაწილის ჩამორიცხვა არ განხორციელდება პირველი ნაწილის ჩამორიცხვიდან არანაკლებ სამი თვის განმავლობაში.
4. დახმარება ჩამოირიცება მას შემდეგ, რაც მოხდება საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს (შემდგომში „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“) შორის მიმდინარე Stand-By Arrangement-ის განხორციელების დადებითი შეფასება, ასევე მას შემდეგ, რაც განხორციელდება ევროკომისიის მიერ (შემდგომში „ევროკომისია“), ევროკავშირის სახელით, წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 1-ში მოცემული რიგი ეკონომიკური რეფორმების დადებითი შეფასება.

   მაკროეკონომიკური და სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკის ღონისძიებები, რომელიც თან ახლავს აღნიშნულ დახმარებას წარმოადგენს საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებული ეკონომიკური სტაბილიზაციისა და

რეფორმების პროგრამის საფუძველს და შესაბამისობაშია საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის მიღწეულ შეთანხმებებთან. აღნიშნული დახმარების თითოეული ნაწილის ჩამორიცხვამდე, კომისია ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პერსონალთან თანამშრომლობით გამოარკვევს, რომ საქართველოს აქვს პროგრესი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული Stand-By Arrangement-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის კუთხით.

დამატებით, კომისიის მიერ თანხის მეორე ნაწილის ჩამორიცხვამდე საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები მიაწვდიან კომისიას წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 1-ში მოცემული პოლიტიკის ღონისძიებების შესრულების შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს. საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისგან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე კომისია შეაფასებს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 1-ში მოცემული პოლიტიკის ღონისძიებების შესრულების პროგრესს, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებთან და სადაც საჭიროა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად. ეს ღონისძიებები კონცენტრირებულია რეფორმებზე, რათა მოხდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სოციალური უსაფრთხოების ქსელის ეფექტიანობის გაზრდა, საბანკო რეგულაციების გაძლიერება და სავაჭრო და კონკურენციის პოლიტიკის მხარდაჭერით ასოცირების შეთანხმების, რომელიც ხელმოწერილია ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წლის 27 ივნისს, განხორციელება, ღრმა და მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ზონის (შემდგომში „DCFTA") ჩათვლით. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია უარი თქვას დახმარების თანხის მეორე ნაწილის ჩამორიცხვაზე, სანამ საქართველო აჩვენებს შესაბამისობას წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 1-ში მოცემული პოლიტიკის ღონისძიებებთან მიმართებაში.

5. კომისი აგრეთვე გააგრძელებს საქართველოს დაფინანსების საჭიროებების განსაზღვრას და შესაძლოა შეამციროს, შეაჩეროს ან გააუქმოს დახმარება, იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების საჭიროებები ფუნდამენტალურად შემცირდა ჩამორიცხვის პერიოდში პირველად დაგეგმვასთან შედარებით.

6. კომისია ჩამორიცხავს დახმარების ნაწილს ევროს ანგარიშზე, რომელიც გახსნილი აქვს ეროვნულ ბანკს უცხოურ შუამავალი ბანკში. ბენეფიციარის ბიუჯეტის დაფინანსების საჭიროებებისთვის, აღნიშნული დახმარების თანხები გადაირიცხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის შესაბამის ანგარიშზე.

   საქართველოს ეროვნული ბანკი მოქმედებს როგორც ბენეფიციარის ფინანსური აგენტი და არ იქნება პასუხისმგებელი ბენეფიციარის ფინანსურ ვალდებულებებზე წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში.

7. დახმარების განხორციელების პერიოდში საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები მიაწვდიან კომისიას ყველა ინფორმაციას, რაც საჭიროა მისი ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის მონიტორინგისთვის და სტრუქტურული რეფორმების პროგრესის შესაფასებლად. კერძოდ, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები დროულად მიაწვდიან კომისიას ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 2-ით განსაზღვრულ ინფორმაციას.

8. დახმარების გამოყენებისას უწესრიგობისა და თაღლითობის თავიდან აცილების და ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სესხის და

გრანტის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები გავრცელდება, განსაკუთრებით ისინი, სადაც მოცემულია ბენეფიციარის მიერ ევროკავშირის დახმარების რეგულარული შემოწმების პროცესი და კომისიისა და აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმება და აუდიტი. აგრეთვე, თუ ბენეფიციარი ჩართულია თაღლითობაში, კორუფციაში ან სხვა არალეგალურ საქმიანობაში ამოქმედდება სესხის ხელშეკრულების დებულებები თანხის დროზე ადრე დაბრუნებასტან დაკავშირებით.

9. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის პერიოდის და ბოლო ნაწილის ჩამორიცხვიდან 5 წლის შემდეგ კომისიას, წარმოდგენილს საკუთარი აგენტებით ან მისი სათანადო მანდატით აღჭურვილი ექსპერტებით, უფლება აქვს ჩაატაროს ოპერატიული შეფასებები ევროკავშირის მაკრო-ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებული ბენეფიციარის ადმინისტრაციული პროცედურების და ფინანსური სქემების.

10. დახმარების შემდგომი დამოუკიდებელი შეფასება შეიძლება განხორციელდეს კომისიის ან მისი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული პროცესის დროს ბენეფიციარი უზრუნველყოფს ყველა ინფორმაციის მიწოდებას კომისიისათვის, რომელიც წარმოდგენილია მისი საკუთარი აგენტებით ან შესაბამისი მანდატის მქონე ექსპერტებით. შეფასების ანგარიში კომენტარებისათვის ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისათვის

11. ხელისუფლება უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობას.

12. აღნიშნული დახმარება ხორციელდება იმაზე დაყრდნობით, რომ საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები აგრძელებს დემოკრატიული მექანიზმების პატივისცემას, მათ შორის მრავალპარტიული პარლამენტის და კანონის უზენაესობის ჩათვლით და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების პატივისცემას.

13. დანართები I და II წარმოადგენენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

14. ყველა შეტყობინება წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმთან დაკავშირებით ითვლება საფუძვლიანად თუ ის გაგზავნილია წერილობით შემდეგ მისამართებზე:

ევროკავშირი

ევროკომისია
გენერელური დირექტორატი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში

CHAR 11/248, B-1049, ბრიუსელი

საქართველო

ფინანსთა სამინისტრო
ფინანსთა მინისტრი
გორგასალის ქუჩა 16
თბილისი 0114, საქართველო

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი
სანაპიროს ქუჩა 2
თბილისი 0114, საქართველო

15. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა მას შემდეგ რაც ხელმოწერილი იქნება საქართველოს და ევროკავშირის მიერ და რატიფიცირებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

16. ურთიერთგაგების მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები წერილობით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ცვლილება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შევა იმავე წესით, რა წესითაც ძალაში შევიდა წინამდებარე მემორანდუმი.

ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი მოეწერა ოთხ დედნად ინგლისურ ენაზე.

ხელმოწერილია თბილისში --- (თარიღი)

საქართველო, როგორც ბენეფიციარი
წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ

ნოდარ ხადური
ფინანსთა მინისტრი

ხელმოწერილია ბრიუსელში --- (თარიღი)

ევროკავშირი, როგორც დონორი წარმოდგენილი
ევროკომისიის მიერ

ჯურკი კატაინენი
ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი
როგორ ბენეფიციარის ფინანსური აგენტი
წარმოდგენილი

გიორგი ქადაგიძე
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი

დანართი I
სტრუქტურული რეფორმების ღონისძიებები მეორე ტრანშისათვის

კომისიის თანამშრომლების მიერ შემოწმების მომენტისათვის, რომელიც წინ უსწრებს მეორე ნაწილის ჩამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს შესაბამისი უწყებები იღებენ ვალდებულებას დასრულებული იყოს შემდეგი ღონისძიებები:

სახელმწიფო ფინანსების მართვა

<u>ღონისძიება 1</u>

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, გაიზრდება ძალისხმევა რათა მოხდეს ინფორმირება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან და პროცედურებთან დაკავშირებით, როგორც სააგენტოების რომლებიც აწყობენ ტენდერებს, ასევე პოტენციური მონაწილეების. აღნიშნული ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალ შენობაში სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო ცენტრის შექმნას ან/და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მუდმივი სასწავლო მოდულის შემუშავებას ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება მიღწეული სერტიფიცირების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

<u>ღონისძიება 2</u>

იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (SAO) ფუნქციონირების დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით და შეესაბამება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის მექსიკის დეკლარაციას, პარლამენტი განახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონის 35-ე მუხლის ცვლილებას, რათა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობა პარლამენტის მხრიდან შემოიფარგლება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ფინანსური ანგარიშით გათვალისწინებული ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის შემოწმებით.

სოციალური დაცვის სისტემა

<u>ღონისძიება 3</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მსოფლიო ბანკის, USAID-ის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, დაასრულებს ჯანდაცვის უტილიზაციისა და შინამეურნეობების დანახარჯების კვლევას. კვლევის შედეგები შეიტანს წვლილს ჯანდაცვის სექტორში რეფორმების შეფასებაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, გამოყენების, კმაყოფილების და მოსახლეობის ფინანსურ დაცვასთან მიმართებაში რომელიც იქნება 2013 წელს შექმნილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის (UHC) შემდგომი დიზაინის, ოპერაციებისა და ფინანსური მართვის დახვეწის საფუძველი.

<u>ღონისძიება 4</u>

საყოველთაო ჯანდაცვის და სხვა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ეფექტურობის და რენტაბელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შექმნის სპეციალურ დანაყოფს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ფინანსური სექტორი

ღონისძიება 5

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციების და ბაზელი II-ის კაპიტალის ადეკვატურობის წესების მიხედვით, ბანკები აწვდიან საქართველოს ეროვნულ ბანკს თავიანთი კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) ანგარიშებს. ბანკების მიერ წარმოდგენილი ICAAP ანგარიშების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი მიაწვდის 2 დიდი ბანკის შეფასებას და რეკომენდაციებს, მომზადებულს საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის (SREP) კონტექსტში.

ღონისძიება 6

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ცენტრალიზებულ რისკების მართვის სამოქმედო გეგმას, რომელიც დამტკიცდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ 2013 წლის აპრილში. როგორც აღნიშნული გეგმის ნაწილი, საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიქმნება ცენტრალიზებული რისკების მართვის დეპარტამენტი. დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება საოპერაციო რისკების მართვაზე, მათ შორის, ბიზნესის უწყვეტობის მენეჯმენტზე და შიდა პროცედურებზე.

ვაჭრობისა და კონკურენციის პოლიტიკა

ღონისძიება 7

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს DCFTA-ს სრულად გამოყენება, მას შემდეგ რაც იგი ძალაში შევა 1 სექტემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიღებს ახალ შიდა ბრძანებას, რომლითაც EUR1 წარმოშობის სერთიფიკატების გაცემა და შემდგომი კონტროლი მოხდება ცენტრალიზებულად შემოსავლების სამსახურის მიერ.

ღონისძიება 8

DCFTA-ით აღებული ვალდებულებების თანახმად, მთავრობა ან საჭიროების შემთხვევაში კონკურენციის სააგენტო მიიღებს ყველა მეორად ნორმატიულ აქტს რომელიც გათვალისწინებულია 2014 წლის მარტში მიღებული კონკურენციის შესახებ კანონით.

დანართი II

მონიტორინგის სისტემა

ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების განხორციელების პერიოდში შესაბამისი უწყებები კვარტალურად მიაწვდიან კომისიას შემდეგ მონაცემებს და ანგარიშებს.

1. მაკროეკონომიკური და ფინანსური ვითარების და პოლიტიკის მონიტორინგი

ა) ფინანსთა სამინისტროს მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია

- მშპ და ეროვნული შემოსავალი (კვარტალური მონაცემი)
- მშპ-ს ძირითადი კომპონენტები (კვარტალური მონაცემი)
- დასაქმება და უმუშევრობის დონე (წლიური მონაცემი)
- მთავრობის ნაერთი და ცენტრალური შემოსავლების და ხარჯების დონე და შემადგენლობა, ასევე მთავრობის დავალიანებები (კვარტალური მონაცემი)
- ცენტრალური ხელისუფლების საგადამხდელო ბალანსი (კვარტალური მონაცემი)
- მთავრობის საგადამხდელო ბალანსი (კვარტალური მონაცემი)
- საგარეო სახელმწიფო ვალი, საგარეო ვალდებულებების ჩათვლით (კვარტალური მონაცემი)
- საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურება (კვარტალური მონაცემი)
- შიდა სახელმწიფო ვალი და ვალის მომსახურება (კვარტალური მონაცემი)
- სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასები (თვიური მონაცემი)
- მთავრობის ფასიანი ქაღალდების ცვლადი პერიოდის საპროცენტო განაკვეთები (თვიური მონაცემი)

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია

- ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი და პერიოდი (თვიური მონაცემი)
- ბანკების სამერთო საპროცენტო განაკვეთი (თვიური მონაცემი)
- საგადამხდელო ბალანსი და ძირიტადი კომპონენტები (კვარტალური მონაცემი)
- საერთაშორისო სარეზერვო პოზიცია (თვიური მონაცემი)
- ნომინალური ორმხრივი გაცვლითი კურსი ევროსა და დოლართან მიმართებაში (თვიური მონაცემი)

2. სტრუქტურული პოლიტიკის მონიტორინგი

- I დანართში განსაზღვრული რეფორმების მიმდინარეობის ანგარიში (კვარტალური მონაცემი)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 01691L-14
თარიღი/DATE 03.12.2014
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia